

137
1940

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ქობობრი



1940

172



გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34
ტელ. № 3-02-61

ოქტომბრული

სამართმელოს ა. ლ. კ. კ. ტყვას და სამ. განსახმომის იმთომობრი ორბანო
„Октомбელი“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

შპშ შინაარსი

✓ 1. ლავკინაძე მიხეილაძე —საყვარელი მანქანა (ნარკვევი)	გვ. 1
2. ბ. ძიგვაშვილი —რატომ მიყვარს ძია შიო (ლექსი)	2
3. მანო მათიაშვილი —გივის ოცნება (ლექსი)	2
✓ 4. ანდრო თევზაძე —უკვდავი შეცნიერი (წერილი)	3
✓ 5. კარლო კალაძე —ენამწარე გოგონა (პოემა)	5
6. დავით შამათაძე —მეგობარი (მოთხრობა)	8
7. ივანე ფრანკო —ნიკიტა მელია (თარგმ. უკრაინულიდან პოლიოზ ბარამაისი) 11	
8. პროფესორი კლარბინსკაძე —ძველი თბილისის კარები (წერილი)	12
✓ 9. ძმ. ბრიგვიანი —მელა და ცხენი (ზღაპარი თარგმანი გერმანულიდან	15
10. თ. ზარინძე —ჩიკოვსკი (წერილი)	16
11. მედე და კრიტიკოსი —(თარგმანი მ. კიასა)	გარეკანის მე-3 გვ.
12. ახალი წიგნები	გარეკანის მე-4 გვ.
13. ე. ლესინგი —უორანი (იგავ-არაკი)	გარეკანის მე-4 გვ.
14. ალ. სარინოვი —გამოცანები	გარეკანის მე-4 გვ.

ქრნალის გაფორმება ეკუთვნის მხატვ. — ი. ქოქია შვილსა. და ვ. ასკურავას

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. მიხეილაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ან. თევზაძე

გადაეცა წარმოებს 26/XI 1940 წ.

ქილაღლის ზომა 60×92

ხელმოწერილია დასაბეჭდ. და 26/XII 40 წ.

ფორმათა რაოდენობა 22-გვ. 9¹/₂×14

ფე 4390 შტა. (Заказ) 1427 ტირაჟი (Тираж) 16900

ლ. პ. ბერია სსრკ-ის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Коммунист“, имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.



საყვარელი მანქანა

კიროვი ყახანში რომ სწავლობდა, მოძრავი მანქანა გამოიგონა. მისი ამხანაგი მოწაფეები მიდიოდნენ და უკვირდებოდნენ სერიოჟას გამოგონილ მანქანას. ისინი ნატრობდნენ: ნეტავ ასეთი რამ ჩვენც გამოგვაგონებიაო.

ამ მანქანის მოძრაობით ამხანაგებიც გახარებული იყვნენ, მაგრამ სერიოჟას სიხარული მაინც სხვანიური იყო, როცა იგი უცქეროდა ერთად შეგროვებული უსულო საგნების მუშაობას.

— სერიოჟა, ვინმემ რომ კარგი ფასი მოგცეს ამ მანქანაში, მიჰყიდი? — შეეკითხა ერთი ამხანაგი.

სერიოჟამ გაიცინა. ამხანაგები ამ სიტყვითაც კი მიხვდნენ, რომ იგი მანქანის გაყიდვას არ აპირებდა. ჯერ კიდევ სანამ ამხანაგს უპასუხებდა, ისევ თავის მანქანას დასწვდა, ხელში აიღო ახელ — დახედა, თითქოს პირველად ნახაო, მერე იატაკზე დადო, აამოძრავა. ღიმილით უცქეროდა მის მოძრაობას, არ აშორებდა თვალს:

— არა... ჩემ მანქანას არ გაყიდი. უკვე კარგი ფასიც მადლიეს, მაგრამ მე ფული არ მინდა, ფულს ჩემი მანქანა მიჩვენია.


ამის შემდეგ ამხანაგები მანქანის გაყიდვაზე აღარაფერს ეუბნებოდნენ. თქვა ერთხელ უარი, თქვა და გათავდა, მისი სიტყვა ბეჭედივით სწორი იყო ყოველთვის.

სერიოჟას გამოგონებული მანქანა ისეთი კარგი იყო, რომ მთელი ამხანაგები ამაყობდნენ მით:

— აი, ჩვენმა ამხანაგმა სერიოჟამ რა კარგი მანქანა გამოიგონაო.

ამ ამხანაგებს კიდევ სხვა ამხანაგები მოჰყავდათ, რომლებიც პირადად არც კი იცნობდნენ კიროვს, და უჩვენებდნენ მშვენიერ მანქანას.

ერთხელ გამოგონებული სერიოჟა აღრე მივიდა სკოლაში, მიესალმა მეგობრებს, იხუმრეს, ითამაშეს. შემდეგ ზარი აწკრიბდა. ბავშვებმა ერთბაშად მიატრევს თამაშობა. რამდენიმე მოწაფე ბურთს გამოდევნებოდა, ხან ერთი არ-



ტყამდა ფეხს, ხან მიორე. ერთმა გაოფლიანებულმა თამაგაჩნილმა ბიჭმა მოუმართა ფეხი ბურთს, მაგრამ სწორედ მაშინ გაისმა ზარის ხმა; მომართული ფეხი ბურთისათვის აღარ გაუკრავს, მობრუნდა და სკოლისაკენ გაექანა, გაისწორა თმაც. სერიოჟამ მთელ კლასს გადახედა. ბურთაობით დაღლილ ამხანაგს რომ შეხედა, რომელიც კვლავ თმას ისწორებდა, გაულიმეს ერთმანეთს. სერიოჟამ კლასში ვერ დაინახა ერთი თავისი კარგი მეგობარი, გაუკვირდა, რად არ მოვიდაო. გაკვეთილის შემდეგ ამხანაგს ჰკითხა იმ მოწაფის შესახებ:

— სად არის?

— ვერ მოვიდა... შარვალი გაუცვდა და ეუხერხულემა მოსვლა, — იყო პასუხი. სერიოჟას არაფერი უთქვამს. გაკვეთილები დამთავრდა. წავიდა შინ. მან წამოიღო თავისი საყვარელი მანქანა, გაყიდა, იყიდა შარვალი და ამხანაგს სახლში მიუტანა.

9696



ჩემომ მიყვარს ძია შიო



მე პატარა მკითხველი ვარ,
 ჩემთვის წერდა ძია შიო,
 მე თუ სადმე უქმად ვზივარ,
 ახლაც მეტყვის რას სწაილიო?!
 ფუტკარს დახე, როგორ ზრუნავს,
 დილიდან საღამომდიო,
 შენც ნუ ლუბავ ნიჟს და უნარს,
 ბიჭო, კაცი გამოდიო...
 რომ მარიგებს შინ თუ გარეთ
 სწაილას, შრომას დავეჩვიო,
 ბეჯითობას რომ მაყვარებს,
 მიტომ მიყვარს ძია შიო!
 როცა მინდა აყუვე მეც სხვას,
 სათამაშოდ გავუტუო,
 მოვნახო და ჩიტს ან მერცხალს
 თავის ბუდე დაუწვრიო,

ჩიტიც მეტყვის შიოს ლექსით,
 ჩიტსაც უყვარს ძია შიო:
 ბიჭო სესე, ქვებს ნუ მესვრი,
 პატარა ვარ, რას მერჩიო...
 ან პეპელას, მინდვრების ქალს,
 როცა მინდა დავეწიო,
 თვალს მადევნებს თითქოს იქაც,
 წყენით მეტყვის ძია შიო:
 — ბიჭო, შენ თუ სინდისი გაქვს,
 მაგ პეპელას რას ერჩიო,
 მაგასაც ხომ და-ძმები ჰყავს,
 ცოდვა არის, გაუშვიო...
 რომ მარიგებს გამზრდელ მხარეს
 შევეტუბო და შევეჩვიო,
 ჩემს სამშობლოს რომ მაყვარებს,
 მიტომ მიყვარს ძია შიო!

გვიის ზოგნება

ვანო მათიაშვილი

პირველ გვირად მიმაჩნია,
 ვინც მტრისაგან იცავს მხარეს,
 ვინც თავისი ვაჟკაცობით
 ჩვენს სამშობლოს გაახარებს,
 გადალახავს ზღვებს და მიწას,
 ყინულებს და თოვლის ველებს,
 ვისი სიტყვა და სახელიც
 მშრომელთ გულში გაიღვლებს.
 ახსენებენ: მთაში, ბარში,
 მოხუცი და ახალგაზრდა,
 ყველა აქებს მამაც მებრძოლს,
 ბრძოლებში რომ გაიზარდა.
 ვინც დღე და ღამ საზღვრებს იცავს
 და ხელში აქვს მუდამ თოფი,

ერთი წუთით არ აცოცხლებს
 მტერს, საზღვარზე მედგრად მყოფი,
 არ ივიწყებს ღედას, მამას,
 სამშობლოს და ქალაქ მოსკოვს,
 თუ კი მტერი გამოჩნდება,
 არ დაინდობს, იქვე მოსპობს, —
 წავალ, ვეტყვი: გვირთა-გვირო
 და სამშობლოს საზღვრის მცველო,
 მეც მოვედი შენთან მიტომ,
 რომ სამშობლო ვასახელო.
 გამომგზავნა ღედამ, მამამ
 და საბჭოთა საქართველომ,
 გამომგზავნეს, რომ დაეიცვა
 ჩვენი ქვეყნის მთა და მდგლო!

უკვდავი მკვლევარი

ლაშაში ჭალაჩა; ალერსიანი ჭთავლები. დაბალი, საიმური ხმა; ჩუმი და მიმზიდველი სიტყვები; სიტყვები: ღრმაზროვანი, მეცნიერული.

ასი თუ მეტი თვალი შეურხველად მისჩერებია კათედრას, ასი თუ მეტი ყური სულგანებული უსმენს დიდებული აკადემიკოსის ბრწყინვალე მოხსენებას. აქ არიან პროფესორები, დოცენტები, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები.

წინა რიგებში, კათედრასთან ახლოს სხედან მისი მოწაფენი: ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ბუნებისმეტყველები და სხვანი. ზოგს უბის წიგნი გაუშლია, იწერს აზრებს, დასკვნებს, მაგალითებს. ზოგი კიდევ აღტაცებულია ახალ-ახალი საკითხების გაგებით და გალიმებული თვალებით უცქერს ჭალაჩა მეცნიერს.

მომხსენებელი ხანდახან ბრძნული გამომეტყველებით გადახედავს დამსწრეთ, თავის მოწაფეებს სინაურლის გრძნობით შეაფლებს თვალებს და ისევ თავმდაბლური, დარბაისლური ტონით განაგრძობს საუბარს.


ახლა, ამ დარბაზში ყველას ერთი ფიქრი იპყრობს, ერთი ფიქრი, განკუთვნილი მეცნიერულ საკითხებისადმი.

უცებ მომხსენებელი შეჩერდა. მსმენელებმა გაიფიქრეს: ალბათ, დაიღალა, ისვენებო, მაგრამ ასეთი შესვენება მან არასოდეს იცოდა. თავი ძირს დახარა. წონასწორობა დაკარგა. საჩქაროდ მიეშველნენ, აიყვანეს გულწასული პროფესორი, მეორე ოთახში სავარძელზე დააწინეს, ჩასძახეს, შეარხიეს, მაგრამ ის უკვე აღარ სუნთქავდა.

ასე ლამაზად, მოწაფეთა მკლავზე შეწყვიტა სიციცხლე და აზროვნება სახელოვანმა მეცნიერმა, საბჭოთა ისტორიული მეცნიერების უდიდესმა მოღვაწემ, აკადემიკოსმა ივანე ალექსანდრე-ძე ჯავახიშვილმა.

ეს იყო 18 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე და 45 წუთზე.

ეს შემაძრწუნებელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ჭალაქს. არავის არ სჯეროდა,



ან, უკეთ, არავის არ უნდოდა დაეჯერებინა საყვარელი აკადემიკოსის უცარი გარდაცვალების სამწუხარო ამბავი. ყველა ღუმდა და დუმილში გამოხატავდა უდიდეს წყენას.

* * *

ი. ა. ჯავახიშვილი დაიბადა თბილისში 1876 წელს. საშუალო განათლება მიიღო თბილისის I გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1895 წელს, შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

1902 წელს თავის მასწავლებელ, გამოჩენილ მეცნიერ, შემდგომ აკადემიკოს ნიკო მართან ერთად ივანე ალექსანდრე-ძეს გზავნიან არაბეთში სინას მთის ქართულ მონასტერში დატრული ქართული ხელნაწერების აღსაწერად და შესასწავლად. მას შემდეგ მთელი ორმოცი წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას, თავისი დიდი ნიჭით და ცოდნით, დაუღალავი მუშაობით ხელს უწყობდა

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

ი. ა. ჯავახიშვილმა კლასიკური შრომები უძღვნა ქართული ხალხის — საბჭოთა კავშირის ერთერთ უძველესი ხალხის — მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას, შვის სინათლეზე, გამოიტანა მრავალი, მეცნიერებისათვის უჩინარი მასალა, ფარდა ახადა მრავალ, საიდუმლოებით მოკულ საკითხს.

ერთი სიტყვით, მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თითქმის ყველა მეცნიერების ჩამოყალიბებას. ამვე დროს მან გამოზარდა მრავალი ნიჭიერი მოწიფე, რომლებიც მის მიერ შექმნილ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში ნაყოფიერად მუშაობენ.

მეფის შაბანელ ხანაში, როცა დედანაზე სწავლა-განათლების მიღება, და მეტადრე მეცნიერების შესწავლა, წარმოუდგენელი იყო, როცა მეფის პოლიტიკა დაპყრობილი ერების გარუსებისაკენ იყო მიმართული, ი. ა. ჯავახიშვილმა ვაბედულად დაიწყო მუშაობა მეცნიერების ქართულ ენაზე შექმნისათვის.

ჯერ კიდევ პეტერბურგში მუშაობის დროს იგი ახერხებდა ქართულ ენაზე ჩატარებინა ლექციები. 1907 წელს მან იქვე დაარსა ქართული სამეცნიერო წრე, სადაც მშობლიურ ენაზე წარმოებდა მეცნიერული მოხსენებების კითხვა.

მან ჩაატარა მთელი რიგი რთული მუშაობა იმის გამო, რომ გავგო რუსეთის თუ ევროპის სხვადასხვა ქალაქში რამდენი ქართველი მეცნიერმუშაკი ან ქართველი სტუდენტი იყო, რომ ამის საშუალებით ევრაუდენია, შეიძლება თუ არა ქართული უნივერსიტეტის გახსნა თბილისში. ამ მიზნისათვის მან ირგვლივ შემოიკრიბა მრავალი მეგობარი, მრავალი მეცნიერი-მოღვაწე, რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტში. მიუხედავად მაშინდელი მთავრობის უყუარადღებობისა და ყოველგვარი სახელმწიფოებრძვი მატერიალური ბაზის უქონლობისა, ი. ა. ჯავახიშვილის — ეს ბრწყინვალე განზრა-

ბვა გამარჯვებით დამთავრდა. 1918 წელს თბილისში გაიხსნა ქართული კულტურის დიდ კერა — სახელმწიფო უნივერსიტეტი. მაშინ ის შედგებოდა მხოლოდ ერთი ფაკულტეტისაგან — შემდეგ იგი გაიზარდა, გადიდდა და მისი წიაღიდან წარმოიშვა ის უმაღლესი სსწავლებლები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, და კერძოდ თბილისში, ასე მრავალრიცხოვნად არის.

ი. ა. ჯავახიშვილის მრავალმხრივ და ნაყოფიერ მუშაობას მხოლოდ საბჭოთა პირობებში მიეცა ნამდვილი გასაქანი. ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ შეუქმნეს მას ყოველგვარი პირობა ნამდვილი მეცნიერული მუშაობისათვის.

დიდებულმა მეცნიერმა ჩვენი პარტიის ამ მზრუნველობას უპასუხა გაათქვამული ენერგიით და დაუღალავი შრომით.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 20 წლის თავთან დეკავშირებით, 1938 წელს ი. ა. ჯავახიშვილი, როგორც ფუძემდებელი ამ უნივერსიტეტისა, როგორც ქართული კულტურისა და მეცნიერების დიდი მოამაგე. საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით. იმავე წელს ქართველმა მშრომელმა ხალხმა იგი აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1939 წელს ი. ა. ჯავახიშვილი არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

იგი გარდაიცვალა უდროოდ, მას კიდევ ბევრის ვაკეთება შეეძლო, მისგან კიდევ ბევრს მოელოდა ქართული კულტურის ისტორია.

იგი გარდაიცვალა ისე, როგორც შეშფერის ნამდვილ შვილს ჩვენი ქვეყნისას — მუშაობის პროცესში, როცა მისი უკანასკნელი სიტყვაც კი მეცნიერებისათვის იყო განკუთვნილი.

საქართველოს მშრომელი ხალხი, და განსაკუთრებით ახალგაზრდობა, არასოდეს არ დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილსა და დიდებულ მასწავლებელს.



კარლთ კალამე ფუტყანის ქართულ სამქთთა მთრინაჲ პოეტყმის
რაცს. დაიხდა 1907 წელს. შან შავშთინიდანჲჲ დაიწყო ლექყმის წერა.
13 წლის იყო, რთვა პარყული ლექში „მრბთლის ყულბჲ“ დაიწყდა
გამ. „საქართყულთს ვთმუნისაჲნი“ (1920 წელს). შის მემდეჲ სისცყ-
მადყრად ეწყა დრბად სამაყთთ სამწყრთო მყნათისს.

შან შირაგალი სარყულთს ლექში და პოემა დმწერა. იგი ამიჲჲ
დრთს მადყოყრად მყნათის დრამადყრბთისაჲ. შისი მესანინნაჲ დრამ-
აჲნი წარმადყმით იდგმმთდა ქართულ აჲადყმართ თყადყმნი.

იგი სამქთთა პირთმყმნი დაიხდა და აღინაბდა, რთვთრე პოეყა.
კარლთ კალამე რყენი ძყყენის მყდნართ მადყმისაჲ არ ივიწყმნი. შისი
სამაყმეთ პოეყაჲ „თთლის თაჲდასაჲყაჲლი“, „გრრბნის ლექსა“ და
სხვა ლექყმნი რყენი მყდნართ მადყმის სადყარული ნაწარმთყმნი.


ამ რყანასაჲლად კარლთ კალამე დმწერა მესანინნაჲ სამაყმეთ
პოემა „რენმწართ გრბთნა“, რთმულსად ძყმით ჲათაჲყმთ.

„რენმწართ გრბთნა“ დალჲ წინად სეყმს სამაყმეთ და ახალ-
გამბრბთის ლიტყანთმცმულთნა.



კანკალიძის
სამაყმეთ

გ. კანკალიძის



ენამწარე გოგონა

აი თქვენდა საოცნებოდ
დახატული მთა-ბარი,
ენამწარე გოგონების
შესაფერი ზღაპარი:

თურმე ერთი დედაბერი,
სად იყო და სად არა,
მუდამ სახენამომკენარი
და კოტივით პატარა,
ჩია მხრებზე მოისხამდა
თავშალს რუხი ფერისას, —
სწორედ კოტის ფრთებსა ჰგავდა
მხრები დედაბერისა, —
და შარაგზას გაჰკიოდა
გადმომდგარი ღობესთან,
მისი წყველა ამარზენი
სოფლად ყველას მომბზრდა.
ბევრჯერ სთხოვეს — არ დაჩუმდა,
გაკაპასდა პირიქით,
და შარაგზა მიატოვეს,
დადიოდნენ ბილიკით.

მარტო დარჩა დედაბერი,
ხმის არ სცემდა არავინ,
არ ესმოდათ მისი წყველა,
ყურთასმენის მხარავი.



და შარაგზას გაჰკიოდა
გადმომდგარი ღობესთან.

დაიკუნტა საცოდავი,
დაუბინდა თვალები,
ქოხის კარს ვერ სცილდებოდა
ჩუმი კენესა-წყალეებით...

ბოლოს გულით შეევედრა
მზით ანთებულ ალიონს:
თვალზე ბინდი მომაშორე,
ამინილე თვალიო.
ქარით გაქრეს თეთრი თმები,
როგორც ფიფქი თოვლისა, —
დამბრუნე ყმაწვილობა
უპირველეს ყოვლისა,
და ხმატკბილი საუბართ
მეც მიგბამე ნაკადულს,
ზვირთთა სიცილს ემგვანება
თეთრ კენჭებში გაფანტულს!
გაზაფხული თუ შეეკრავს
ჩემს შრიალა კაბასო, —
დაეკენე, თოვლით დავიფარო,
ისევე თუ ვიკაბასო...

ყველაფერი აუსრულდა
მზის კაშკაშა სინათლემ,
მაგრამ უთხრა; ავიხდებამ
რასაც იტყვი, ინატრებ,

ყოველ სურვილს დაუფიქრდი,
ნუ აწყვები ენასა,
თორემ სიტყვის წარმოთქმა ჰგავს
ჩიტის ამოფრენასა.

ეინც ეცდება დაიჭიროს,
ის ამაოდ დღელდება,
სიტყვით ერთხელ დალიხვრული
გულიც არ გამართლდება,

და ქობის წინ აგოგმანდა
დღედაბერი კი არა,
ისევ ცხრა წლის ქალიშვილი,
მერცხალივით ცქრიალა!

უწინ მზებას ეძახოდნენ,
ახლა უკვე მზიასა...
ანჩხლი იყო — გაურბოდნენ,
შეხვდნენ თავაზიანს!

ხელავს მისი მეგობრებიც
ტურფად გამოწყობილან,
კაბაქრელი ყვავილები
გოგონები ყოფილან...

და ნიავმაც აუსრულა
უშალ ფიქრი გულისა,
სათამაშოდ გაუფინა
მდელო გაზაფხულისა.



შვიამ უთხრა დედოფალს:
„შენც მოწაფე იქნები!“



რა დაწყველა, იმ წამშივე
ყურშამ იგრძნო ტკივილი

ხოლო მისი დედოფალა,
ქერა წამწამიანი,
თვალს ახელიდა, მკლავს არხვედა
როგორც აღამიანი...

ჩამოფრინდნენ მტრედებივით
ფრთებგაშლილი წიგნები.
შვიამ უთხრა დედოფალს:
„შენც მოწაფე იქნები!“

ფურცელი რომ გადასწია
როგორც თეთრი საბანი,
ბავშვებივით წამოკვივდა
ფეხზე ყველა ანბანი!

ი — მიჰყვება წელმოსხრილი
ა — ს კლავს გულმკერდილისა,
ორივენი ჭადრის ჩრდილქვეშ
იპოვნენ ისა.

ო — მ კი, როგორც ქიანტყელამ,
დაისახა მიზანი.

აიკიდა ვებერთელა
გაკვირვების ნიშანი!

მაგრამ იქვე იდგა ყურშა
კულჭიკინა, რბენია,
პირი სტაცა, გაიტაცა,
ვითომც აჩაფერია!

შვიამ ყურშას მიძახა:
— საით გაუდგეჭიო?!
ნეტავ სულ არ მოსულიყავი,
მოგტეხოდა ფეხიო!

რა დაწყველა, იმ წამშივე
ყურშამ იგრძნო ტკივილი,

ფეხი მართლა მოიტეხა,
შექნა ყველა-კივილი.

წუხდნენ შვიის მეგობრები:
— რით ვუშველოთ
— კოქლობით ხომ არ მოვცდებამ,
იყოს, არა უშავსო!

მაგრამ ამ დროს, შეუშინველად,
ამბით გაჯავრებულნი,
გზად შეჩერდა ვიღაც მგზავრი,
შეერთა ბავშვთა კრებული.

ყველას უთხრა საყვედური,
ყურშას მიუახლოვდა.
შვია მიინც განხეიღდა
და თავისთვის ამბობდა:

— რად დამტუქსა ძია კაცმა,
რად ვგონივარ ავიო,—
ვაი, როგორ შემაშინა,
მას გაუხმეს თავიო!

დაიღუპა ძია — კაცი,
წყველას აღარ ელოდა,
აწ როგორღა მიიჩნიოს
თავი სსახელოდა.

რა ხუჭუჭი თამბი ჰქონდა,
ფაფანაკი ეხურა,
ცაში უცებ გაიფანტა
თმა ფოთლებისებურად:

ქარის ქროლევით გაიძარცვა,
თითქოს ბუნჭი ობოლი,
შერჩა მხოლოდ ორი ყური,
როგორც ორი ფოთოლი.



შერჩა მხოლოდ ორი ყური
როგორც ორი ფოთოლი.

დაეუბრნენ მგვობარები
ენამწიერ შხისას,

რადგან ისევ მოვლიან
მისგან მხოლოდ ზიანსა.

თითქოს კარგი გოგონაა,
პირს ღიმილი ჰქვინია,
მაგრამ თურმე ავი ენით
ისევ დედაბერია!

პირობაც კი დაივიწყა,
არაფერი არ ახსოვს,
რაკი სურვილს უსრულებენ,
ენით ისერის ტალახსო.

შხია ყველას შეებეწა,
ისევ დასდო პირობა,
თქვა: სიავე მპატიოს
თქვენმა კეთილ — გმირობამ!
თქვენთან მინდა მგვობრობა,
თამაში და რბენაო,
ვინმე ისევ თუ დაეწყველო,
მომაჭერით ენაო...

დაუჯერეს. გოგონებმა,
ფრთა გაშალეს ხალისით,
ისევ ყველა სურვილები
უსრულდებათ თავისით.

შხიას მხრებზე ჰიკიკებენ
გულწითელი ჩიტები,
მოკრძალებით ეფერება
მოალერსე თითებიით...

მერე შევლი მოენატრა,
თქვა: მანახა ნეტავი, —
და ესტუმრათ შველის ნუკრი
ფრთხილი, გაუბედავი!

— ჭორ-წიწილას შევარიგებ! —
თქვა და ბეერი იკინა...
ჭორმა ფრთებქვეშ შეიბურღა
ფეხდამწვარი წიწილა!

კატამ ყურში გადაკოცხა,
ყველა არ დაუწუნა...
ყელზე კუდით მოეხვია
მედიდური წრუწუნა!

საბოდიშოდ საქათმესთან
მოკუნტულდა მელნია,
ვარიბთან სასეირნოდ
კუდიც მოიშველია!

მგელს ღობესთან მიეგება
თხა წერტილის ცანცარიით...
მგელმა უთხრა: „გმდურჭმით,
თიქნებს არ გაშაკანით“!



კატამ ყურში გადაკოცხა,
ყველა არ დაუწუნა.



საბოდიშოდ საქათმესთან
მოკუნტულდა მელნია



მგელს ღობესთან მიეგება
თხა წერტილის ცანცარიით.

— შეკრთენ გოგონები:
— მგელს ხომ უნდა გვიღიღინო
ხედავ, ყველა შეარიგე
შენის ტკბილი ენით...
მგელს კარგი რომ არ უსწოვო,
იწყებს კბილთა ღრუქსასა...
მაგრამ კუდიც არ წამოგატყის,
მოგაპრიან ენასა...

შხიამ უთხრა: „თუ ევბრძანებ,
თიქანს ჩლიქსაც არ ატყენს,
სინამ თხა არ შეგვაქამო,
მანამ იწყეს, არ აღდგეს!“

მგელი ფეხზე ვიღარ დგება,
სილ ყვა დარჩა ძალაში,
გარს უფლიან გოგონები
მხიარული თამაშით...

შხიაც მითთან დაეკრიბა
კაბაქუდელი, შხრილია,
მაგრამ რაღაც დაუშავეს,
თვალი დაბრიალა...

ბოლოს მინც უხებლიდ
წინ წაუსწრო ენამა, —
და გაფანტა გოგონები
გესლიანმა კბენამა!

თქვეს, რომ ისევ დაივიწყა,
რაკი დაიფიცაო,
დღედაბრულად დგვიძახა
თქვენ გაგსკდელ მიწაო!

მიწა მართლა გამსკდარიყო,
ჩანდა შავი ქვესკნელი!
ეშინოდით, მაგრამ წყველაც
იყო უკანასკნელი.

შხია უკვე მდუღარებდა,
იღვა ენაბოქრილი,
ტოლებს ხელით ანიშნებდა
მათი სიტყვის მორჩილი.

ტკბილი ხმაც ვერ აღმოხდება
აგრე ტუნებჩაკეტლის,
სკოლაში ვერ წიკითხავს
სხაპასხუთ გაკეთილს...

ჰკნება უკვე საოცნებოდ
ღახატული შთაბარი...
და უფნოდ რა ინატროს?
დასრულდება ზღაბარიც.

იქნებ ვინმემ გაიკვიროს:
— როგორ მოხდა, როგორა,
რომ სასტიკად დაისაჯა
ენამწარე გოგონა?
თქვენ უამბეთ, რომ არ იყო
შხია თავზიანი...
თავისთავსაც მოუტანა
ავი სიტყვით ზიანი.

მ კ ვ მ ხ ა რ კ



(მოთხრობა)

ქათმებს შორის დიდიდანვე დიდ მითქმა-მოთქმას ჰქონდა ადვილი. ზოგი იწონებდა, ზოგი ხმაში ნაკლს შენიშნავდა. ზოგი კი ამ გარემოებას ლაპარაკის ღირსადაც არ თვლიდა.

ერთი კი სინამდვილე იყო. ახლად კულაპრეხილმა, თავზე წითელხერხიანმა ყვინჩილამ წუხელ პირველად იყვილა და დღეს გაყინული დადიოდა. დედლები მრისხანე სახით შეათვალიერა. ვარიები ყურადღების ღირსიც არ გახადა, ხოლო ღობეზე შესკუპულ ბებერ ყიყლიყოს ზიზღით ახედა. ბოლოს განმარტოვდა. სურდა გაეგო, ეზოში რა აზრისანი იყვნენ მის ხმაზე. საღორესთან ღრუტუნია დაინახა. ნეხეზე წამოწოლილიყო, ეძინა.

— ჰე, ნათლი, გძინავს?! — თავმოძვრენდ ჩაუბოხა ხმა ყვინჩილამ.

— ღუ... ღღრრ... — შეიშმუშნა ღრუტუნა.

— გაიგე, წუხელ რა მოხდა?!

— რაო, არ ვიცი!

— ჰე, რა გითხრა, წუხელ პირველად ვიყივლე მე და დღეს მთელ ეზოში ჩემს შესანიშნავს ხმაზე ლაპარაკობენ, შენ კი არც არა გაგიგია რა! სულ ეგრე როდი უნდა იყო ცხოვრებას ჩამორჩენილი! ღრუტუნას პასუხს არც კი დაუცადა, რუსთან დედაიხვი და ჭუკები შეამჩნია და იქით გასწია.

ღრუტუნამ კი გაიფიქრა სულელიაო და ისევ ჩათვლიდა.

— თქვენ, ეი, ყვეფეზო, აქ რა ფათქუნია? შეუტია მისვლისთანავე ყვინჩილამ იხვებს.

ვერც კი შეამჩნიეს და უდარდელად განაგრძეს რუში ფათქუნი. იხვმა ცალი თვალით ამოხედა სულელ ყვინჩილას,

ნელი ბაჯბაჯით ამოჰყვა ნაპირს და ზრდილობიანად მიესალმა მოსულს, ისე, როგორც შეშვენის ხანშესულ იხვს.

ყვინჩილა მაინც არ ცხრებოდა, ილანძღებოდა, ჯავრობდა. გმობდა მათ უზრდელობას. ჭუკები მაინც არ აქცევდნენ ყურადღებას.

— უი, დამიდგეს თვალები, მიწა რად არ გამისკდება, ცა რისხვად რად არ დაბატყდება! — მოყვა წუწუნს დედაიხვი, — ვინ გამიჯავრა ჩემო მამლაყინწავ, შენი თავი? ამ წუთს, დღესვე დავხოცავ მაგათ, შენ ფრჩხილადაც არ ღირან მაგ ოხრები! დამაცადონ ერთი...

ჭუკებმა ხმა ჩაიკმიდეს. ერთი, ყველაზე ეშმაკი, ყვითლად გავანჯღული ჭუკი ბუჩქთან იმაღებოდა და სიცილით კვდებოდა: იცოდა, დედამისი ეშმაკობდა.

ყვინჩილამ შეიშნო ქება, თავი მაღლა ასწია, მრისხანედ გადახედა მათ და შემდეგ დედაიხვს მიუბრუნდა.

— განა მაგათ არ გაუგონიათ, წუხელ მე როგორ შესანიშნავად ვყიოდი? იმის მაგიერ, რომ დაინტერესდნენ...

არ დაამთავრა ყვინჩილამ და დიდმინიშნელოვანად გადახედა დედაიხვს, როგორ შთაბეჭდილებას ვახდენო. იხვი მიუხვდა ყვინჩილას.

— ო, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო მამლაყინწავ! ვინ დაგაცალა მაგის სათქმელად, ხანი არ დააცილი ჩემს ჭუკებს, სულ გამომალაყეს... სტუმარს ვერ დავლაპარაკებოვარ წესიერად... ოი, ოი, მართლაც რომ ასეთი ხმა ჩემს დღეში არ მსმენია. რა კარგი, რა ნაზი, რა ვაჟკაცური ნარნარი, მქექარე... ერთი სიტყვით, უკეთესი არ იქნება... ჩემო მამლაყინწავ, ჩემო ოქრო, ერთხელაც გააბედნიერე

შენი ბიკოლა, ერთხელაც სცადე, გამაგონე ეგ ხმა ტკბილი!

— არა, ახლა არ მკალოია, სხვა დროს! ქებით რეტდასხმული მეტიჩარა მოტრიანდა და ამაყად გაეშურა ჭიშკართან თოლიას სადგომისაკენ.

— ახალი რა იცი, მეგობარო? — მიმართა ყვინჩილამ.

არაფერი! — ბრაზიანად მიუგო თოლიამ.

— წუხელ არაფერი გაგიგია?!

თოლია დაინტერესდა.

— როგორ?! წუხელ ქარი იყო და განთიადამდე შრიალებდა სიმინდის ყანა. ჩვენს ესოში არავის არ შემოუბედავს!

— ქარი... შრიალებდა... სულ ქურდები გელანდება. ეგ მე როდი მაინტერესებს, ჩემი ყვილი არ გაგიგონია?!

— მერე რა?! კინალამ დაიღრჩვი, ისრა ყვილი იყო!

— საძაგელი ხარ, მყეთარა, ჩემი ჯიბრი გაქვს, გინდა ხასიათი გამიფუქო! — გაანჩხლდა ყვინჩილა. თოლია იცინოდა.

— მამლაყინწავ, შე ბეჩაო, რათა ხარ ეგეთი მეტიჩარა, უფროსის რათ არა გჯერა?!

მაგრამ ყვინჩილა უკვე აღარ უსმენდა. გაბრაზებული გაეშურა თივის ზვინში მწოლარე ფისოსთან, გამოაღვიძა და სიტყვა გადაუქრა.

ფისომ ზარმაცად განაბა თვალები, ფეხი გაკიმა, გაიზმორა, ყვინჩილასათვის არც კი შეუხედავს, ისე თქვა:

— დალახვროს ეშმაკმა, წუხელ ერთი წრწუნა დამემალა სადღაც!

— სულელი, — ჩაიბუტბუტა ყვინჩილამ,

— სულ წრწუნები ახსოვს და მეტი

არაფერი! — გაბრაზებული მოტრიანდა. უცებ ზვინს უკან ყვინჩილამ მეზობლის მამლის კურკური გაიგონა, იგი დედოფლისა და ვარიებში თავს იწონებდა. შემოენთო მამლაყინწას, გაიფხორა და ლობესთან გაჩნდა. მეზობლის მამალი განსაკუთრებით ნაცარა ვარიას ეკურკურებოდა, მამლაყინწა ვერ შეამჩნია, თავს იწონებდა ყიყლიყო და ლაზათიანად ტრახახობდა.

— ჩემო ნაცარა, იცი? მე როდესაც ვყივი, თვალებს არასოდეს არ ვახელო. სიმღერები ისედაც სულ ზეპირად მაქვს შესწავლილი!

ნასიამოვნები ნაცარა ეკურკურებოდა და გულმოდგინედ უსმენდა ყიყლიყოს. შენ, ეი, რას გადმოთრეულხარ აქ?! ვერ მოითმინა და შეჭყურა ყვინჩილას.

— მეზობლებში მისვლა-მოსვლა ყოველთვის ყოფილა, შენც არა ერთხელ გადმობრძანებულხარ ჩვენსა. რამ აგაღელვა ყმაწვილო?

სცადა დამშვიდება დარცხვენის სხით ყიყლიყომ და ყვინჩილას მიუბრუნდა.

— მე აგეთები არ ვიცი, ნაცარა ჩემი საცოლეა, კურკურს თავი მიანებე, გაერთიე აქედან!

შურაცხყოფილი ყიყლიყო სულ ერთიანად აენთო, ბიბილო ცეცხლივით წითელი გაუხდა, არ დააყოვნა და ყვინჩილას სწვდა. შეიქნა ძიძგილაობა. ქოჩორა დედალი თავს იკლავდა, კაკანობდა: ვინა ხართ მოწყალე, მამლაყინწას მომიკლავენ, გააშველიეთო!

ნაცემ — ნაბეგე, დასისხლიანებული მამლაყინწა საღამოს ძლივს მოაბრუნა ქოჩორა დედამა. იარები მოსწმინდა, სადღაც მალამო იშოვა, დააცხო და საგანგებოდ შეუხვია.

სირცხვილით მამლაყინწა სამ დღეს ეზოში ვეღარ ჩნდებოდა. თავშეხვეული თივის ზვინებს უკან იმალებოდა და მეთათსევე რკმობდა თავის მეტიჩარობას.



მამლაყინწამ მალე დაივიწყა ყოველივე. შემოდგომა იყო და ქათმები ხშირად ჩრდილში იყრიდნენ თავს. მამლაყინწა ჩაღებოდა მათ შორის და ძველებურს არ იშლიდა.

სალამოობითაც საქათმეში ყვინჩილა თავისი ტრაბახით მოსვენებას არ აძლევდა დედლებს, სიცოცხლეს უმწარებდა. დღე ერთი იყო და ათას რაიმეს მოიგონებდა, თავს გამოიდებდა და გულს გააწვრილებდა ტრაბახით.

ერთ დღეს ჩრდილში თავშეყრილ ქათმებს ქორმა გადაუარა. შეიქნა ერთი კაკანი ნაცარას შიშით გული წაუვიდა, გაფთხრდა, ძლივს მოაბრუნეს.

ყვინჩილამ დრო იხელთა.

—ქორი... ქორი რაა, როგორ უნდა შეგაშინოთ. დამაცადოს ერთი მაგ ყვინჩიანმა! გააბა ბაქიაობა მამლაყინწამ.

—რაიმე მაინც შეგეძლოს, მეხი კი დავგეცა მაგ მეტიჩარა თავზე! — წაჩურჩულა ახლად ბოლოაპრებილმა ქრელმა ვარიკამ და თავმოშწონედ გაიარა.

—სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ჩემო შეგილო მამლაყინწა! მეტიჩარობა არაა ლამაზი, დარბაისელ, ზრდილ და წესიერ მამალს მეტიჩარობა არ შეშვენის. ღამლამობით საქათმეში მელამ იცის შემოდრომა, ამიტომ ჭკუით უნდა იყოთ. მტერს ათასი ეშმაკობა და ხერხი აქვს. თორემ მერე გვიან იქნება სინანული!

სცადა ჭკუის დარიგება ქოჩორა დედალმა. ყვინჩილა აენტო.

—ჰმ, ერთი ამათ დამიხედეთ ლაჩრები, მშიშარები. მელა ვინ გლია, მისი ვის ეშინია, მობრძანდეს, ერთი ისე მაგრად ჩავსცხოვის კარტი, ტვინიკ ამოუღულდეს.

ყვინჩილა არ ცხრებოდა, ილანძღებოდა, იგინებოდა, ყველას მშიშარას ეძახდა — ცინგლიანმა მელამ როგორ უნდა შეგაშინოთო. ქათმები განცვიფრებული შესტკეროდნენ, ასე ძალზე რად ცხარობსო. იქვე თივის ზვინებთან მდგარმა



ბეკეკამ გულიანად ჩაიკიკინა მამლაყინწას მეტიჩარობაზე, ამან სულ გააგვირა მეტიჩარა.

— ერთი დამიხედეთ ამ მგლის გასაგუდავს. მე შენ ვინ გაღნივარ, ბეკეკო, არა გჯერა ჩემი? მაშ შენ ვერ იცნობ მამლაყინწას!

ამჯერად ბეკეკომ დაუთმო მეტიჩარას, თივის ზვინს მოშორდა და უხბოდ თავი გაარიდა ყვინჩილას.

იმ დამეს კი საინტერესო ამბავი მოხდა საქათმეში. ქოჩორა დედლის წინათგრძნობა ახდა.


ნაშუალამევეს ცაზე ხარიპარია რომ ამოვიდა, ერთი ძილისპირი მთელმა სოფელმა მიიძინა. შეწყდა კანტი — კუნტად ძაღლების ყეფა და მამლების ყივილი. ამ დროს საქათმეში ერთი ალიაქოთი შეიქნა: კაკანი, ფათქუნი, კრიახი. ამ აურზაურში ყვინჩილას ხმა გამოირჩეოდა გარკვევით: კიოდა, ფათქუნებდა და მშველელს უხმობდა.

აივანზე ბიძა თედვორემ ყვირილი ატება. ორობეში კეტებით გამოცვივდა ხალხი. წუწქმა მელაქუდამ ყვინჩილას უშვა პირი და ტყისყენ მოკურცხლა.

იმ დღიდან დაირცხვინა მამლაყინწამ და მეტიჩარობა საშუდამოდ დაგმო. ამის შემდეგ მამლაყინწა ეხოს სანაქებო მამალი დაღვა, ზრდილი, წესიერი და პატიოსანი, ტყუილა უბრალოდ თავის ქება და ტრაბახი ჭირივით შესძავდა.



ნიკიტა მედი



ერთი თავი პოემიდან

გახატული მოვიდა
 ელვარე და მზიანი,
 ყველგან სიხარულია
 და კისკასი ხშიანი.
 ყვავილებით მოართულან
 ველ-მინდორი, მთაბარი,
 მზეფე ლომიც წამოდგა,
 მხეცი უზარმაზარი.
 შიკრიკები აფრინა
 კილით-კილე ყველგანა,
 მათაც შემოირბინეს
 ნადირების ქვეყანა
 ნარ-ეკალით მოსილი,
 ბარდით შემობურვილი,
 ტყის ბინადართ აუწყეს
 მზეფე ლომის სურვილი:
 „სასახლეში წამოდით,
 არის მეფის ბრძანება!“
 ნადირებიც დაიძრნენ,
 ყველა მოექანება:
 კუდიანი, უკუდო,
 ყიყინა თუ ძეფთარა,
 მხოლოდ ერთმა უგანა,
 არვინ არ გაიკარა.
 თქვენ გგონიათ უცხოა,
 მისი ცნობა ძნელია?
 გაიძვირა, მსუნავი
 ნიკიტა — მელია.
 მოკუნტულა, არ უჩანს
 თვალი ნაპერწკალისა,
 ეშინია მსჯავრის და
 სწორი, სამართალისა.
 სხვა დროს ვგრე ტრაბახა,
 ბაქია და მკეფხარა,
 ახლა კოშკის ხავსიან
 ნანგრევს ამოფარა.

* * *

სასახლეში ტახტზე ზის
 მზეფე თვისი ცოლითა,
 მხეცთა მოღვათა გარს უვლის
 შიშითა და ძრწოლითა.

მა, გაისმა მეფის ხმა,
 ცეცხლად დახაკვსები:
 — „მსურს დღეიდან ქვეშევრდომთ
 ჰქონდეთ სწორი წესები.
 აბა რას ჰგავს, ურთერთი
 მტრობით დაგვიკნეტიოთ!
 კმარა! უნდა მოისპოს
 მძარცველი და ღლეტია!
 აქ წამოდგა სიტყვითა
 მგელი გაუმამღარი,
 მოახსენა მან მეფეს
 რაც იყო და რაც არი:
 — შე, მზეფე, რაც გვაწუხებს
 აქ სათქმელად ძნელია.
 ჩვენი დამაქცევარი —
 ნიკიტა მელია.
 იგი ყველგან თარეშობს,
 აფათურებს თვის ხელებს,
 თვითონ გაწუწუებული
 ამსუნავებს ჩვენს ბელებს.
 მისი ავი საქმისგან
 დარდი შემოგვწოლია,
 და თუ როგორ დავცტანჯა,
 ძნელი მოსაყოლია...
 აქ წამოდგა ფინია,
 გააქანა ფეხები:
 — ჩვენო მზეფე მფარველო,
 მე ვიპოვენ ძეხვები...
 და რომ დამით შექამა.
 შევინახე კუთხეში,
 მაგრამ იგი გამოხტა,
 გაიძვირა, უნეში...
 ხელი მკრა და მიმავლო,
 თვით შეყლაა ძეხვები...
 — მართალია, და მიტომ
 მეც ამ საკითხს ვეხები, —
 ჩაერია სიტყვაში
 აქ მეორე ფინია, —
 ისე ავგაწიოკა,
 ვეღარ დავგიძინია.

პოლიო აბაშიას
 თარგმანი უკრაინულიდან.



თავის სახელი თბილისმა მიიღო გოგირდის თბილი წყაროებიდან, რომელთაც ძველიდანვე იყენებდნენ სამკურნალო მიზნებისათვის. თბილისს ჰქონდა ძველი დროის თვალსაზრისით მეტად მოხერხებული მდებარეობა. ახლანდელ ავღანის ორ ხილთან მტკვარი უცებ ხვდება მეტად ვიწრო კლდოვან კალაპოტში. ამიტომ ამ ადგილას ძველად, როდესაც ტექნიკა ჯერ კიდევ განვითარებული არ იყო, მდინარეზე ადვილად გაიდებოდა ხიდი, ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რადგანაც მტკვარი დიდი მდინარეა, ფონი მას თითქმის არა აქვს და ჩვეულებრივი ცხენით მისი გასურვა ძლიერ საშიშია. ამიტომ ყოველ ისეთ ადგილს, სადაც ძველს დროში ადვილი იყო ხიდის გადგმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ თბილისი ძველ დროსშივე წინ წაიძინა.

მაგრამ აი ხიდი გამართულია. ხილზე ხომ ყველას ვერ გაუშვებდნენ (ვთქვათ, უჩაღების ბრბოს ან ამ მხარის მტერს და სხვა). საჭირო იყო, მაშასადამე, იქვე სიმაგრის აშენება, რომ ამ სიმაგრეში დაყენებულ შეიარაღებულ მცველებს გამგლელ — გამომგლელისთვის თვალყური ედევნებინათ და, საზოგადოდ, ხიდი დაეცვათ. ამიტომაც სიმაგრე ჯერ აშენებული იქნებოდა თვით ხილთან, მაგრამ შემდეგ, თავდაცვის მიზნით, იქვე მაღლა მთაზე (ხიდის დასავლეთით) აშენებულ იქნა მოზრდილი ციხე (ზედა-ციხე). ახლა ამ ციხეს ნარიყალა ჰქვია. ეს სახელი თურქულია, ლამაზ ციხეს ნიშნავს, დარქმე-

ულიც მათ მიერაა, მეფექსმეტე საუკუნეში, როდესაც დროებით დაიკავეს თბილისი.

მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა თბილისი და საქართველოც ძლიერდებოდა, საჭირო ხდებოდა ციხის გაფართოება. ამ მიზნით თბილისს შემოავლეს დიდი გალავანი კოშკებით, დაწყებული ზედა-ციხიდან სოლოლაკის ქედის გაყოლებით ახლანდელ კომკავშირის ხეივანამდის. ამ ქედზე ბოლო კოშკს ეწოდებოდა შაჰ-ტახტი, რაც ირანულად ნიშნავს მეფის ტახტს. შაჰ-ტახტიდან გალავანი თავისი კოშკებით ჩადიოდა ქვევით და ყოფილი ველიამინოვის ქუჩის გაყოლებით ებჯინებოდა ახლანდელ ლ. ბერიას სახელობის მოედანს, გადიოდა ახლანდელი პუშკინის ქუჩით, უხვევდა დღევანდელ მუხრანის ქუჩაზე და თავდებოდა მდ. მტკვრის ნაპირას კალიაევის ხილთან, ცოტა მისი სამხრეთით. მტკვრის მხარეს თბილისი დაცული იყო თვითონ მდინარე მტკვრით, გარდა ამისა, სახლების მთელი წყებითაც, რომლებიც გაშენებული იყო მდინარის ნაპირას.

თბილისის მოსახლეობა ცხოვრობდა ამ ციხე-გალავანს შიგნით, რადგანაც გალავანს გარეთ ცხოვრება საშიში იყო. სახელმწიფო ძალაუფლება მაშინ სუსტი იყო. დიდი თავადები ხშირად არ ემორჩილებოდნენ მეფეს, რომელიც მაშინდელი წყობილების თანახმად სახელმწიფოს სათავეში იდგა. ამ დიდ თავადებს თავის ხელქვეით ბატონყმურ დამოკიდებულებაში ჰქონდათ მთელი სოფლები და მხარეებიც. მათ შეეძლოთ რამდენიმე ათასი მეომრის გამოყვანა და ამიტომ ძლიერ


თავისუფლად გრძობდნენ თავს, ჰქონდათ თავდაცვის მიზნით თავისი ციხეები, მაგრამ ყველაზე დიდი და მთავარი საქართველოში იყო თბილისი, რომელიც საქართველოს მეფეს ეკუთვნოდა. ეს თავადები ხშირად ესხმოდნენ თავს ერთმანეთის ციხეებს და უფრო სოფლებს და ხშირად ეურჩებოდნენ მეფესაც. ამ თავდასხმების დროს ისინი იტაცებდნენ ადამიანებს, უფრო, რასაკვირველია, გლეხებს, და ყიდდნენ მათ.

მეფე თავისი სისუსტის გამო ვერ ახერხებდა ამ ბოროტმოქმედებათა აღადგმვას და ხანდახან, როდესაც რომელიმე ურჩ თავადზე მეტისმეტად გაბოროტდებოდა, თვითონაც აგზავნიდა რაზმებს მოლაღატე თავადის სოფლების დასარბევად. ამას უნდა დაუმატოთ ყაჩაღთა ბრბოების სიმრავლე. ცხადია, რომ ასეთ პირობებში არც თბილისის მიდამოებში იყო ადამიანისათვის ცხოვრება უზრუნველყოფილი. ვისაც თბილისში უნდა ეცხოვრა, ესენი იყვნენ ვაჭრები, ხელოსნები, ციხის და ქალაქის მცველები, მეომრები, ყველა თავისი ოჯახებით, ისინი კდილობდნენ ბინა გაეყეთებინათ ქალაქის გალავნის შიგნით, ფართობი კი გალავანს შიგნით

მოთხოვნილებასთან შედარებით მცირე იყო. ამიტომაც მიწა შიგნით ქალაქში მამასისხლად ფასობდა და პატარაპატარა ნაქრებად იყიდებოდა. ამავე მიზეზით ქალაქში ფართობი ბის ლატოვებაზე არავინ ფიქრობდა, მით უმეტეს, რომ მართველობაც ამას უფრადლებას არ აქცევდა, ამიტომ ქუჩები ქალაქში მეტად ვიწრო იყო. მხოლოდ ერთი-ორი იყო ისეთი, რომელზედაც ურმებს შეეძლო ერთმანეთისათვის გვერდის აქცევა.

ამითვე აიხსნება, რომ ქალაქში ძლიერ ბევრი ჩიხი იყო. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ქალაქი ჩიხებით იყო სავსე. ომიანობის დროს ამასაც ჰქონდა ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა, შემოსულ-მტერს ყოველს ჩიხში ხვდებოდნენ შეიარაღებული მცხოვრებლები და ბევრსაც ხოცავდნენ.

ასე იყო მოწყობილი შიგნით ქალაქი თბილისი ძველ დროში. ამავე წესით იყო გაშენებული მაშინ ქალაქები სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად ევროპაში. ქუჩები ძველს თბილისში იშვიათად თუ იყო მოკირწყლული, ამიტომაც ტალახის დროს თბილისის ამ ვიწრო შუკებში გავლადიდ



ძველი თბილისის საერთო ხედი 1700 წელს.

გაქირავებას წარმოადგენდა. სისუფთავის დაცვატ ძნელი საქმე იყო, თუმცა, მიუხედავად ამისა, ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1671 წელს დაიარა საქართველო და თბილისი, წერს, თბილისში ბაზრები ძლიერ სუფთად არის შენახული. ჩანს, ქალაქის მართველობა ზრუნავდა სისუფთავის დაცვაზე.

ქალაქის გალავანს ჰქონდა კარები, სულ ექვსი კარი იყო, ხის, მაგრამ რკინით შემოკედილი. ღამით ყველა კარი იკეტებოდა, ასე რომ დაღამების შემდეგ არც ქალაქიდან შეეძლოთ ნებადაურთველად გასვლა და არც ქალაქში შემოსვლა. ამ კარებს სახელები ჰქონდა, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მიმართულებით მიდიოდა იქიდან გზა. ნარიყალას ციხის ქვემოთ, იქ, სადაც ახლა აბანოების მზრიდან ბოტანიკური ბაღის შესავალია, იყო თბილისის ქალაქის მთავარი კარი, რომელსაც სახელად განჯის კარს ეძახდნენ. ამ კარიდან მიდიოდა გზა ქალაქ განჯისაკენ. იქ, სადაც ახლა მტკვრის ნაპირას ორთქალისაკენ მიდის ფართო ქუჩა ტრამვაის ხაზით, ძველად გაუვალი გორაკები იყო, ასე რომ ქარავნებს (მაშინ ხომ საქონელი ქარავნებით დაჰქონდათ) უნდა შემოეცლოთ ზემოთკენ და განჯის კარით შესულიყვნენ ქალაქში. განჯის კარს იცავდა მაღალი კოშკები, რომელთაგან ზოგი ახლაც არსებობს და ღამიზად გადმოჰყურებს ბოტანიკური ბაღის შესავალს. ამ ძველი განჯის კარიდან ეგრეთწოდებულ თათრის მოედნისაკენ მიდის ქუჩა, რომელიც ახლაც დაცულია თავისი ძველი სიფართოვით. ახლა ეს ქუჩა ძლიერ ვიწრო ჩანს, ორი ავტომობილი ძლივს აუვლის გვერდს ერთმანეთს, ძველად კი ეს იყო ქარავნებისთვის მთავარი შემოსასვლელი ქუჩა და, მაშასადამე, სხვა ქუჩა-შუკებზე უფრო ფართო.

თბილისის მეორე კარს ერქვა კოჯრის კარი, რადგანაც აქედან გზა მიდიოდა კოჯრისაკენ. ის მდებარეობდა ახლანდელ

ბერიას მოედნის პირას, სადაც ახლა იწყება სარეწაო კოოპერაციის ქუჩა.

მესამე კარი იყო ეგრეთწოდებული დიღმის კარი. მდებარეობდა ის აქედან ისა და ყოფილი მუხრანის ქუჩის კუთხეში. აქედან გზა მიდიოდა სოფ. დიღმისაკენ და იქიდან ქართლისა და დასავლეთ საქართველოსაკენ.

მეოთხე კარს ერქვა მეიდნის კარი და ამის ქვემოთ ახლოს მდ. მტკვართან მდებარეობდა ეგრეთწოდებული ქვემო კარი, ანუ რიცხვით მეხუთე. ორივე ეს კარი გადიოდა ყოფილ მუხრანის ქუჩის ქვემო ნაწილში. სახელი „მეიდნის-კარი“ ამტკიცებს, რომ მის პირდაპირ ძველადვე ყოფილა მოედანი, სხვადასხვა სამხელრო ვარჯიშობისათვის განკუთვნილი. დამდ. მტკვრის მეორე ნაპირას, იქ, სადაც ახლა მუზეუმი მეტეხია, ძველად იყო ციხესიმაგრე, მაგრამ პატარა მოცულობისა. ამ ციხესიმაგრეს აღმოსავლეთით ჰქონდა კარი, რომელსაც ავლაბრის კარს ეძახდნენ. ეს იყო თბილისის მეექვსე კარი.

ასეთი იყო თბილისის ზოგადი სახე. თბილისის ციხე-გალავანს ბევრი შავი დღე უნახავს, მაგრამ ის იყო ბევრი გმირული ამბის მოწმეც, როდესაც ქართველი ხალხის საუკეთესო შვილნი თავგამოდებით ებრძოდნენ შემოსულ გარეშე მტერს თავისი ქვეყნის დაცვის მიზნით.

როდესაც ჩვენში დამყარდა რუსეთის იმპერიის მართველობა, თბილისის ციხე-გალავანმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ის თანდათან დაინგრა, ბევრი ნაწილი კი ადამიანის ხელმა დაანგრია. მაგრამ მაღლა, სოლოლაკის ქედზე, თანამედროვე სოციალისტურ თბილისს ახლაც გადმოჰყურებს დარჩენილი ძველებური კოშკებისა და გალავნის ნანგრევები. დაღვრემილად გამოიყურება მათი კედლები, ისინი ყოველდღიური ჩვენი საქმიანობისათვის უკვე საქირონი აღარ არიან, მაგრამ როგორც გავლილი საუკუნეების ნაშთი ჩვენთვის მაინც ძვირფასი და მომნიბელებლია.



მელა მუსხანი



(ლ ა პ ა რ ი)

ერთ გლეხს ჰყავდა ერთი ცხენი; ცხენი დაბერდა და მეტი სამსახურის გაწევა აღარ შეეძლო. პატრონს აღარ უნდოდა ცხენისათვის საზრდო მიეცა და უთხრა: მართალი რომ გითხრა, აღარ მჭირდება, მაგრამ შენთვის კარგი მსურს და თუ იმდენად ღონიერი ხარ, რომ შესძლებ ღომი მომიყვანო, მაშინ დაგტოვებ ჩემთან, თუ არა და ჩემი საჯინი-



ბოდან გამშორდით, — და ამ სიტყვებით გარეთ გააგდო.

გულნატყენი ცხენი შევიდა ტყეში, რომ ავღრისაგან ოდნავ მაინც თავი დაეფარა.

აქ შეხვდა მელა და ჰკითხა: რად ჩაგიღუნავს თავი და მარტოდმარტო დადიხარო? ცხენმა უპასუხა: ეჰ, სიხარბე და ერთგულება ერთ სახლში ვერ თავსდებიან; ჩემმა პატრონმა დაივიწყა, თუ რა სამსახური გამიწევია მისთვის ამდენი წლების განმავლობაში, და რადგან ახლა მართლაც რომ აღარ შემიძლია კარგად ხენა, აღარ უნდა სარჩო მომცეს და კარში გამომავდო. — არაფერი ნუგეში არ მოგცაო? — შეეკითხა მელა. — ნუგეშად ის მითხრა, თუ იმდენად ძლიერი ხარ, ღომს მომიყვან, მაშინ ჩემთან დაგტოვებო; მაგრამ მან ხომ კარგად იცის, რომ ამას მე ვერ შევძლებო. მელამ უთხრა: მე დაგეხმარები, შენ ოღონდ დაწვევი, გაშეშდი და არ გაინძრე, თითქოს მკვლარი იყო.

ცხენმა ყველაფერი შეასრულა, რასაც მელა ურჩევდა; მელა კი წავიდა ღომთან, რომელსაც ბუნავი იქვე ჰქონდა, და უთხრა: გარეთ მკვლარი ცხენი აგდია, გამოდი, კარგი ნადიმის გამართვა შეგიძლიაო.



ღომი წამოვიდა და როცა ცხენთან დადგნენ, მელამ უთხრა: აქ შენს გემოზე ვერ შეეცევი; მე მოგაბამ ცხენს მისი კუდით, შენ დაითრიე ბუნავში და იქ ნებიერად მიირთვიო. ღომს რჩევა მოეწონა და მელას რომ ცხენი მაგრად მიეკრა, უძრავად იდგა. მელამ კი ცხენის კუდით ისე შეუკრა ღომს ორივე ფეხი, რომ ვერავითარი ძალა ვერ გაწყვეტდა. როცა მელამ თავისი საქმე გააკეთა, დაჰკრა ცხენს ზურგზე ხელი და უთხრა: გასწი, ლურჯავ, გასწიო, ცხენი იმავ წამს ფეხზე წამოხტა და ღომიც უკანა ფეხებით ზვევით ასწია. ღომმა ისეთი ბღღვიწვა დაიწყო, რომ ტყიდან მთელი ჩიტები გადიკარგნენ, მაგრამ ცხენი ყურს არ უგდებდა და მიათრევდა ველზე, სანამ პატრონის კარამდის არ მიათრია. როცა პატრონმა ეს სურათი დაინახა, წინანდელი გადაწყვეტილება გადაიფიქრა და ცხენს უთხრა: შენ ჩემთან დარჩები და საზრუნავიც არაფერი გექნებაო და საძლომად აძლევდა საქმელს, სანამ ცხენი არ მოკვდა.

თარგმანი გერმანულიდან
ნ. მ. მ. მ. მ. მ.



ხაიკოვსკი


(გადმოკეთებულია რუსულიდან)

— დახედეთ ნოტებს, თითქო მერცხლებიაო ტელეგრაფის მავთულებზე, ისე დალაგებულან ნოტების ხაზებზე შავი, წუმი ნიშნები. ადამიანი ჯდება როიალთან, ან აიღებს ხელში ვიოლინოს, ნიშნებიც ერთბაშად გაცოცხლდებიან და ხმებად გადაიქცევიან. ესაა მუსიკა, ესაა მთელი მოთხრობა.

წარმოიდგინეთ ზამთრის ნათელი დღე გზაზე ეტლს მიაქროლებს სამი შავი ცხენი, სივრცეში იბნევა პაწაწინა ხარის წკრიალა ხმა. მეეტლე მათრახს უტყლაშუნებს ცხენებს, გარბიან ცხენები და ავადდება თოვლის ფიფქების კორიანტელი.

აი მეორე სურათიც: ზაფხულია. ოქროსფერი, ჯერ კიდევ მოუმკელი მინდორი, უღრუბლო ცაში მღერის ტოროლა. ასეთ საუცხოო მოვლენებზე მოგვითხრო თავისი მუსიკით დიდმა რუსმა კომპოზიტორმა პეტრე ივანეს-ძე ჩაიკოვსკიმ. მან შექმნა შესანიშნავი ოპერები: „ვევგენი ონგენი“ და „პიკის ქალი“.

ჩაიკოვსკის ერთ ოთახში იღვა მუსიკალური ინსტრუმენტი ორკესტრინა. ის იყო მოსამართავი და მასზე არ შეიძლება დაკვრა, მასთან პატარა ჩაიკოვსკიმ არც იცოდა მაშინ დაკვრა, მაგრამ მან იცოდა მოსმენა. და მუსიკა, რომელსაც მაშინ ის ისმენდა ორკესტრინაზე, დარჩა მის ხსოვნაში სამუდამოდ. ეს იყო ნაწყვეტი ოპერა „ღონ-ჟუანიდან“, რომელიც დაწერა დიდმა კომპოზიტორმა მოცარტმა. როცა უსმენდა ამ მუსიკას ჩაიკოვსკი, ის ტიროდა აღტაცებისაგან. შემდგომ ის თვითონ ამბობდა. მოცარტმა შემაყვარა მუსიკა მთელი სიკაცხლის მანძილზე. ასე დაიწყო მეგობრობა მუსიკასთან. სასიხარულო და მოუსვენარი ხმები ელანდებოდა ბავშვს



ყველგან, ისინი უშლიდნენ თამაშს, ალვიდებდნენ ღამით, ცრემლებს ღვრით წამოიყვებოდა ხოლმე: „ოჰ, ეს მუსიკა! ის ჩემთანაა აქ, თავში, დამიხსენით იმისაგან!“ რადგან მას უკრძალავდნენ როიალზე დაკვრას, თითვეს ურტყამდა ყველაფერზე, რაც კი ხელში მოხვდებოდა. ერთხელ მან ისეთი თავდავიწყებით დაარტყა ფანჯრის მიწას, რომ გატეხა მიწა და ხელი გაიჭრა. მაშინ მშობლებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს ბავშვის მუსიკალურ ნიჭს. ცოტ-ცოტათი დააწყებინეს სწავლა როიალზე, წლითი-წლითი უფრო ძლიერი და ბეჯითი ხდებოდა მისი მეგობრობა მუსიკასთან, ჩაიკოვსკი თვითონ ცდილობდა შეთხზვას, მაგრამ თავისი ნაწარმოების სხვებთან დაკვრა არ უყვარდა.

როდესაც პეტრე ილიას-ძეს შეუსრულდა ოცდაორი წელი, ის შევიდა ახ-

ლაღ-გახსნილ პეტერბურგის კონსერვატორიაში. მან გადაწყვიტა, რაც არ უნდა დასჯდომოდა მუსიკოსი გამხდარიყო, მუსიკას ანდომებდა ის მთელ თავის დროსა და ძალას. თავისი მუშაობა მან ზუსტად განაწილა საათებით, რომ არც ერთი წუთი არ დაჰკარგოდა. „რამდენი გეგმა მაქვს! რამდენი მაქვს კიდევ გასაკეთებელი“— ამბობდა იგი ყოველთვის. პეტრე ილიასძეთიქმის სეირნობის დროსაც არ წყვეტდა მუშაობას, ამორღებდა ჯიბის წიგნაკს და შიგ წერდა გეგმებსა და აზრებს. განსაკუთრებული სიყვარულითა და თავგამოდებით მუშაობდა ჩაიკოვსკი „ევეგენი ონგინზე“. „ევეგენი ონგინის“ პირველი წარმოდგენა შედგა არა თეატრში, არამედ მოსკოვის კონსერვატორიაში, პატარა სცენაზე, და როდესაც თამაშობდნენ არა მსახიობები, არამედ მოწაფეები.

ამის შემდეგ გავიდა თითქმის სამოცი წელი. მრავალჯერ დაიდგა ეს შესანიშნავი ოპერა ყველა ქვეყნის თეატრებში, და არ იქნება, ვგონებ, ისეთი ადამიანი, რომელსაც გულწრფელად არ უყვარდეს ის,

ვინაიდან მისი მუსიკა არის ერთობ განსაკუთრებული და მეტყველი. ჩაიკოვსკის ყოველი ნაწარმოები მკაფიო და სიმართლესავე მოთხოვრება ადამიანის ცხოვრებაზე. ჩაიკოვსკის ძალიან უყვარდა რუსული, უკრაინული ხალხური სიმღერები და ხშირად იწერდა მათ: „შესაძლოა გამომადლებსო. ასეც ხდებოდა, პეტრე ილიას-ძემ სამაო რაოდენობით დაწერა პიესები ბავშვებისთვისაც. ასეთებია „ბოლენ კუკლი“, „სლადკაია გრიოზა“. ყველაფერზე მეტად ჩაიკოვსკი ზრუნავდა იმაზე, რომ მისი მუსიკა ყველასათვის გასაგები ყოფილიყო. ამიტომ ის ცდილობდა ეწერა რაც შეიძლებოდა უბრალოდ და გულწრფელად გამოეხატა მხოლოდ ის, რაც ხდებოდა ცხოვრებაში. ამაშია ყველაზე უდიდესი ძალა ჩაიკოვსკის მუსიკისა. აი რატომ სწვდება ის თვითყული ადამიანის გულს, აი რატომ უყვარდა ასე ძლიერ ეს მუსიკა ლენინს. კიდევ ერთი საზრუნავი ჰქონდა პეტრე ილიას-ძეს: ის, რომ მისი მუსიკა მოესმინა მრავალ ხალხს და მასში ეპოვნათ ნუგეში.

მეფე რუსიის



სიცილიის ტირანი დიონისე ლექსებს წერდა, რომლებიც თავთ დიდად მოსწონდა. მისი გაბეჭდვის შემდეგ ხალხი, რომელსაც ის თავის ლექსებს უწევინებდა, ზრუნავდა მასთან უკმაყოფილება არ მოსვლოდა და ლექსებს სეცამდე უქებდა.

ერთ დღეს მან უჩვენა რამდენიმე ლექსი სწავლულ ფილოქსენეს, რომელმაც მათში მეტისმეტად ბევრი ნაკლი აღ-

მოაჩინა. ამან ისე გააბრაზა დიონისე, რომ ფილოქსენე დააპატიმრა. რამოდენიმე სნის შემდეგ ტირანმა ფილოქსენეს შეუნდო. ცისიდან კანთავისუფლებული სწავლული სადილად მიიწვია, კვლავ უჩვენა თავისი რამდენიმე ლექსი და კვლავ სთხოვა გამოეთქვა აზრი მათ შესახებ. ფილოქსენე მიუბრუნდა იქვე მდგომ დარაჯებს და უთხრა: „წამიყვანეთ უკან ცისეში“.



ახალი ნივნები



1940 წელს საბლიტგამის მიერ გამოცემული ზოგიერთი საბავშვო წიგნი.

ა. დსინგი

ყორანი

(იგავ - არაკი)

ყორანმა შეამჩნია, რომ არწივი მთელი ოცდაათი დღის განმავლობაში თავის კვერცხებზე იჯდა.

— შეჰველად ამიტომ არის, — თქვა ყორანმა, — რომ არწივის ბარტყები ასე ფხიზელი და ძლიერი ხდებიან.

და მას შემდეგ სწორედ ოცდაათი დღე დაჯდა ყორანი თავის კვერცხებზე, მაგრამ ვერაფერი გამოჩეკა საბრალო ყორანების გარდა.

თარგმანი გერმანულიდან
ალეკო აბულაძის

გამოცანები

1

არც ვარსკვლავია, არც მთვარე,
არცა ელექტროშუქია,
მისი სითბო და ნათება
მთელი ქვეყნისთვის მუქთია...
ყველა შეშხარის, უმღერის,
დიდ რუსთაველსაც უქია.

2

მიწიერი ქმნილებაა,
ბოროტი და შხამისარა,
ადამიანს მწარედ დაკბენს,
თუ კი ჩუშად მიეპარა.
ამიტომაც სუყველას სძულს,
იხსენებენ მუდამ ავად
და სდევნიან ამ მუხანათს
ქვით და ჯოხით მოსაკლავად.

ალ. ხაჩიძე.